საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა -კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: სოფელი გ.-ის საჯარო სკოლა

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ი. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.07.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 064/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 27 ივლისს საჩივრით მომართა ხ.-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ.-ის საჯარო სკოლის წარმომადგენელმა - სკოლის დირექტორმა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2021 წლის 12 ოქტომბერს ეთიკის კომისიას წერილობით მომართა სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის ახალმა დირექტორმა - ი. ტ.-მ, რომელიც წარმოადგენს მომჩივანის ინტერესებს კომისიაში. ი. ტ.-მ მიუთითა, რომ იზიარებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

1.2 საჩივრის მიხედვით, ნ. გ. იყო ხ.-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ.-ის საჯარო სკოლის დირექტორი 2019-2020 სასწავლო წლის მანძილზე. ზემოთ ხსენებულ სკოლაში ს. ა. ი. ა. იურისტის ლ. ჭ.-ის განცხადებების

საფუძველზე სკოლაში გარკვეული ინფორმაციის შესწავლის მიზნით, მოკვლევას აწარმოებდა განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები, რის საფუძველზეც 2020 წლის 23 ივნისს სკოლამ მიიღო შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, სავარაუდო დარღვევების შესახებ.

1.3 სკოლის მასწავლებლებს დასკვნიდან გამომდინარე დაუდგათ საჭიროება იურიდიული დახმარებისთვის მიემართათ ადვოკატისთვის. 2020 წლის 09 ივლისს ამავე სკოლის დირექტორი ნ. გ. და სკოლის ორი თანამშრომელი ი. ტ. და ი. წ. მივიდნენ ადვოკატ რ. ხ.-ს ქუთაისში მდებარე ოფისში სამართლებრივი კონსულტაციის მიღების მიზნით. საუბრის დროს, ახსენეს ლ. ჭ., რომელსაც ადვოკატი რ. ხ. მათ თანდასწრებით დაუკავშირდა და გაესაუბრა გარკვეულ საკითხებზე. ადვოკატმა რ. ხ.-მ საუბრისას ახსენა განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სკოლისთვის გაგზავნილი დასკვნა, დაითვალა დასკვნის ფურცლების რაოდენობა და სატელეფონო საუბრისას ლ. ჭ.-ს უთხრა რომ დასკვნა არა 70 გვერდი, არამედ 19 გვერდი იყო. საჩივრის მიხედვით, ნ. გ.-ს ადვოკატმა რ. ხ.-მ გამოართვა აუდიტის დასკვნა, რომლის ყველა ფურცელს მან მობილური ტელეფონით გადაუღო ფოტოსურათები და დაუბრუნა მას. საჩივრის მიხედვით, ნ. გ.-ს დასკვნის ფურცლებზე მას ჰქონდა გარკვეული სახის მინაწერები.

1.4 ადვოკატმა რ. ხ.-მ ნ. გ.-ს განუმარტა, რომ „ასე უცებ საქმეს ვერ დაიწყებდა“ , შეისწავლიდა აუდიტის დასკვნას და ამის შემდგომ დაუკავშირდებოდა და ეტყოდა გაუწევდა თუ არა საადვოკატო მომსახურებას.

1.5 2020 წლის 15 ივლისს ს.-ის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა - მოსარჩელე მ. მ. - მოპასუხე ხ.-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ.-ის საჯარო სკოლა. დავის საგანი სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება. მოსარჩელე მხარის მ. მ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა იურისტი ლ. ჭ.. მოსარჩელემ იშუამდგომლა საქმეს დართვოდა განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა. შესაბამისად, ერთი ეგზემპლარი გადაეცა მოსამართლეს, მეორე ნ. გ.-ს, როგორც მოპასუხე მხარეს. საჩივრის მიხედვით, სასამართლოში ლ. ჭ.-მ დასკვნის ის ეგზემპლარი წარადგინა, რომელზეც ნ. გ.-მ მუშაობის პროცესში გააკეთა ჩანაწერები. საჩივრის მიხედვით, ნ. გ.-ისთვის გაუგებარი იყო როგორ აღმოჩნდა ეს დასკვნა ლ. ჭ.-ის ხელში, რომელიც მხოლოდ რ. ხ.-ს გადასცა და სხვისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ნ. გ. ლ. ჭ.-ს ჰკითხა თუ საიდან ჰქონდა მას ეს დასკვნა, რაზეც განმარტა, რომ ის განათლების სამინისტროდან გამოითხოვა. საჩივრის მიხედვით, ლ. ჭ.-ს განათლების სამინისტრო ვერ გადასცემდა დასკვნის დოკუმენტს მსგავსი მინაწერებით. სასამართლომ დასკვნის საქმეზე დართვის თაობაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რაც ასახული სასამართლო სხდომის ოქმშიც.

1.6 საჩივრის მიხედვით, უნდა გადამოწმდეს სატელეფონო ანძების ჩანაწერების მიხედვით ინფორმაცია - 2020 წლის 09 ივლისს 12 საათიდან 14 საათამდე ნამდვილად დაფიქსირდა თუ არა სკოლის დირექტორის და 2 პედაგოგის - ი. წ.-ის და ი. ტ.-ის ადგილსამყოფელი რ. ხ.-ს საადვოკატო ოფისში. ასევე, ამ საათების პერიოდში ის დაუკავშირდა ლ. ჭ.-ს. საჩივრის მიხედვით, აგრეთვე გამოსაკვლევია რ. ხ.-ს ტელეფონი, რომლითაც მან გადაუღო ფოტოები დასკვნას და თუ წაშალა ის უნდა აღდგეს. ლ. ჭ.-მ უნდა წარმოადგინოს განცხადების ასლი, რითიც მან მიმართა განათლების სამინისტროს, რის საფუძველზეც მიიღო ზემოაღნიშნული „დასკვნა“ ასეთი სახით. საჩივრის ავტორმა ადვოკატის სადავო ქმედებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მიმართა პროკურატურას.

2. ადვოკატ რ. ხ.-ს პოზიცია:

2.1 ადვოკატის განცხადებთ, ქ.-ში მდებარე მის საადვოკატო ოფისში მივიდა სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის დირექტორი ნ. გ., რომელსაც თან ახლდა მისთვის უცნობი ორი პედაგოგი. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან ისინი ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ, სთხოვა მხოლოდ ნ. გ. დარჩენილიყო სასაუბროდ ოთახში, რაც ალბათ ეწყინათ. ნ. გ.-მ ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო ორგანოში მიმდინარეობდა გამოძიება მისი თანამშრომლის მიერ ხელმოწერის შესაძლო გაყალბების საკითზე და ამასთან, მასაც ედავებოდნენ მისი მითითებით ხომ არ მოხდა შესაძლო დანაშაულის ჩადენა და აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გაუწევდა თუ არა საადვოკატო მომსახურებას ადვოკატი რ. ხ., თუმცა ორდერის გამოწერის გარეშე, კერძოდ ადვოკატს საქმე „ნაცნობობით უნდა მოეგვარებინა", რის თაობაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა, რადგან ნ. გ.-მ აღნიშნულ საქმეზე არა როგორც ადვოკატის, არამედ როგორც შუამავლის როლით დახმარება ითხოვა. ადვოკატის განცხადებით, კონსულტაციის გაწევა რომ დაეწყო, ამ შემთხვევაში, ნ. გ.-ს სხვების თანდასწრების გარეშე გაესაუბრებოდა. ადვოკატის განცხადებით, მან უარი განუცხადა ნ. გ.-ს, როგორც შუამავლის როლით დახმარებაზე. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ნ. გ.-ს განუმარტა, რომ ის იყო მოდავე მხარის ადვოკატი და შესაბამისად, ვერ წარმოადგენდა მის ინტერესებს.

2.2 ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის არის ს. ა. ი. ა-ის ადვოკატი, სადაც აგრეთვე მუშაობს ლ. ჭ.. სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის თანამშრომელმა მ. მ.-მა ამავე სკოლასთან შრომითი დავის თაობაზე იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა იურისტთა ასოციაციას. აღნიშნულ საქმეში, როგორც ასოციაციის ადვოკატი ჩაერთო რ. ხ., თუმცა მისი საადვოკატო მომსახურება შემოიფარგლებოდა მხოლოდ კონსულტაციის გაწევასა და სარჩელის შედგენაში, სასამართლოში მის ინტერესებს ასოციაციის იურისტი ლ. ჭ. წარმოადგენდა. სწორედ სასამართლო სხდომის დანიშვნის ეტაპზე მივიდნენ გ.-ის საჯარო სკოლის დირექტორი ორ თანამშრომელთან ერთად ადვოკატ რ. ხ.-ს ოფისში. ადვოკატმა განუმარტა ნ. გ.-ს რომ მისი მოდავე მხარის ინტერესებს წარმოადგენდა, „პირველი პროცესიც რაც მათ წააგეს - აღნიშნულზე სარჩელი მისი შედგენილი იყო", აგრეთვე, მ. მ.-ის სარჩელიც მან შეადგინა, განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაშიც მან წარადგინა განცხადება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ნ. გ.-ს მისთვის არ მიუწოდებია რაიმე სახის დოკუმენტი, მათ შორის განათლების სამინისტროს დასკვნა და შესაბამისად, არც ფოტოსურათები გადაუღია დოკუმენტისთვის. ადვოკატის განცხადებით, მისთვის უცნობი იყო ასევე დასკვნის შესახებ ინფორმაცია. ადვოკატს ნ. გ.-მ ჰკითხა, თუ იცნობდა მის საქმესთან დაკავშირებით მოდავე მხარის წარმომადგენელ ლ. ჭ.-ს და სთხოვა მისთვის დაერეკა და ეთქვა, რომ თავი შეეკავებინა მის მიმართ აგრესიის გამოხატვასთან დაკავშირებით. ადვოკატი დაუკავშირდა ლ. ჭ.-ს ნ. გ.-თანდასწრებით და სთხოვა რომ შეეცვალა ნ. გ.-ის მიმართ მისი ეს დამოკიდებულება და შეურაცხყოფით აღარ მიემართა. ადვოკატის განცხადებით, მას სამართლებრივი კონსულტაცია ნ. გ.-ისთვის არ გაუწევია რომელიმე საქმესთან დაკავშირებით და მათ შორის მისთვის უცნობი იყო რა დავა არსებობდა მასსა და ლ. ჭ.-ს შორის.

2.4 ადვოკატის განცხადებთ, ნ. გ.-მ მის წინააღმდეგ მიმართა საგამოძიებო ორგანოს რაც ეხებოდა ზემოაღნიშნული აუდიტის დასკვნის მისი ტელეფონის მეშვეობით ფოტოსურათების გადაღებას. საქმეს, ადვოკატმა პოლიციას შესთავაზა მისი ტელეფონის გამოკვლევა, რითიც დადასტურდებოდა, რომ მას არ გადაუღია ფოტოსურათები ნ. გ.-ის მიერ მისთვის მიწოდებულ აუდიტის დასკვნაზე, რომლის შინაარსსაც

ის არ გაცნობია. ადვოკატის განცხადებით, აუდიტის დასკვნის ლ. ჭ.-ისთვის გადაგზავნის ფაქტიც პრობლემას არ წარმოადგენდა, თუმცა ასეთი რამ არ მომხდარა.

3. მოწმე ლ. ჭ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 მოწმე ლ. ჭ. საპროცესო კოლეგიის მიერ გამოიკითხა ადვოკატ რ. ხ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის განმარტებით, ის და ადვოკატი რ. ხ. არიან ქ.-ში მდებარე ს. ა. ი. ა. იურისტები.

3.2 ლ. ჭ.-ს დაუკავშირდა სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის პედაგოგი - მ. ც., რომელსაც მანამდე ლ. ჭ.-მ გაუწია იურიდიული დახმარება ამავე სკოლაში, პედაგოგის პოზიციაზე აღდგენასთან დაკავშირებით. მ. ც.-მა უთხრა, რომ სხვა მასწავლებელსაც სჭირდებოდა იურიდიული დახმარება, კერძოდ, მ. მ.-ს, რომელსაც ასევე დავა ჰქონდა სკოლის დირექტორთან. 2019 წლის ოქტომბრის თვეში მ. მ. მივიდა ს. ა. ი. ა.-ის ოფისში, ლ. ჭ.-ს გადასცა საქმის მასალები და ამავე წლის ნოემბრის თვეში მ. მ.-მა ს. ა. ი. ა.-ს სახელზე გასცა მინდობილობა. მ. მ.-ის საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატ რ. ხ.-ს დაევალა სარჩელის შედგენა და კონსულტაციის გაწევა, ლ. ჭ.-ს კი წარმომადგენლობა სასამართლოში. მოწმის განცხადებით, ის ც. ბ.-თან ერთად იმყოფებოდა გ.-ის საჯარო სკოლაში და შეხვდა ნ. გ.-ს მ. მ.-ის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული შეხვედრის შემდეგ მ. მ. მალე გაათავისუფლეს სკოლიდან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლოში დანიშნულ პირველ სხდომაზე სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის წარმომადგენლის სტატუსით ესწრებოდა სკოლის დირექტორი - ნ. გ..

3.3 მოწმის განცხადებით, მეორე სასამართლო სხდომის გამართვამდე, მის ოფისში, სადაც მასთან ერთად ც. ბ.-ის იმყოფებოდა, მივიდა ნ. გ. ორ პედაგოგთან ერთად. მოწმის განცხადებით, ნ. გ.-ს თან ჰქონდა ფურცლები - დაახლოებით 15 გვერდი და ლ. ჭ.-ს განუცხადა რომ განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან „ცუდი პასუხი მიუვიდა“ და მიაწოდა ლ. ჭ.-ს ფურცლები გაცნობის მიზნით. ლ. ჭ.-ის განცხადებით, აღნიშნულ დასკვნაში მითითებული იყო დარღვევებზე. მოწმის განმარტებით, ნ. გ.-მ განუცხადა მას, რომ ადვოკატ რ. ხ.-სთან შეხვედრა სურდა, რადგან პროკურორი მისი ახლობელი იყო და დაეხმარებოდა „საქმის მოგვარებაში“. ლ. ჭ.-მ ნ. გ.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან რ. ხ. სკოლის მოდავე მხარის ადვოკატი იყო, ის ვერ გაუწევდა მას საადვოკატო მომსახურებას. ამასთან, ლ. ჭ.-მ ნ. გ.-ს უთხრა, რომ რ. ხ. ასევე მონაწილეობდა განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში წარსადგენი საჩივრის შედგენაში.

3.4 მოწმის განცხადებით, მას დაუკავშირდა რ. ხ. და უთხრა, რომ სკოლის საქმესთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში პოსტების დაწერისგან თავი შეეკავებინა. მოწმის განცხადებით, მისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნ. გ.-მ საჩივრით მიმართა პროკურატურას რ. ხ.-ს წინააღმდეგ, თითქოს მან გადასცა ლ. ჭ.-ს აუდიტის დასკვნა, როდესაც აღნიშნული დოკუმენტი თავად ნ. გ.-მ გადასცა მას.

4. მოწმე ნ. შ.-ის ახსნა-განმარტება:

მოწმე ნ. შ. საპროცესო კოლეგიის მიერ გამოიკითხა ადვოკატ რ. ხ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის განცხადებით, ის რ. ხ.-ს იცნობს, როგორც კოლეგას, რომლის საადვოკატო ოფისში შესვლისას შეხვდა სამი ქალბატონი (ვინაობები არ დაუსახელებია). მოწმის განცხადებით, ის ესწრებოდა რ. ხ.-სა და ქალბატონების გასაუბრებას. მოწმის განმარტებით, ერთმა ქალბატონმა რ. ხ.-ს უთხრა თავის ვინაობა, რ. ხ.-მ კი მისი

საქმეების წარმოების შესახებ არსებული სიის გადამოწმების შემდეგ უარი განუცხადა მას იურიდიულ კონსულტაციაზე და განუცხადა, რომ ის მისი მოდავე მხარეს უწევდა კონსულტაციას. ქალბატონის თხოვნით რ. ხ. დაუკავშირდა ლ. ჭ.-ს და უთხრა, რომ თავი შეეკავებინა ამ ქალბატონის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე. მოწმის განცხადებთ, ზემოაღნიშნული სკოლის და მასთან დაკავშირებული დავის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

5. მოწმე მ. მ.-ის ახსნა-განმარტება:

მოწმე მ. მ. საპროცესო კოლეგიის მიერ გამოიკითხა ადვოკატ რ. ხ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის განცხადებით, ის არის გ.-ის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი. მ. მ. სკოლასთან შრომითი დავის აღმოჩენის შემდგომ, იურიდიული კონსულტაციისთვის მივიდა ქ.-ში მდებარე ს. ა. ი. ა.-ში, სადაც დახვდა ლ. ჭ., რომელმაც დაიტოვა საქმის მასალები. ასოციაციასთან მან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. მოწმის განმარტებით, მისი საქმის წარმოებაში ჩართული იყო როგორც ლ. ჭ., ასევე, რ. ხ.. მოწმის განცხადებით, ის გაეცნო განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნას, რომელიც როგორც მისთვის ცნობილია ლ. ჭ.-ს გადასცა ნ. გ.-მ, ამასთან ის ითხოვდა რ. ხ.-ს გაეწია მისთვის საადვოკატო მომსახურება.

6. მოწმე ც. ბ.-ის ახსნა-განმარტება:

6.1 მოწმე ც. ბ. საპროცესო კოლეგიის მიერ გამოიკითხა ადვოკატ რ. ხ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის განცხადებით, ის არის ქ.-ში მდებარე ს. ა. ი. ა.-ის თავმჯდომარე. მოწმის განცხადებთ, მ. მ.-ს იურიდიულ კონსულტაციას უწევდა იურისტთა ასოციაციის იურისტები: ლ. ჭ. და რ. ხ. სამოქალაქო საქმეზე სოფელი გ.-ის საჯარო სკოლასთან დავის თაობაზე. მოწმის განცხადებთ, საქმეში იკვეთებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც და აღნიშნული მიმართულებით ის უწევდა მ. მ.-ს იურიდიულ კონსულტაციას. მოწმის განცხადებით, გ.-ის საჯარო სკოლაში დირექტორს შეხვდნენ ის და ლ. ჭ., რაც ეხებოდა მ. მ.-თან დავის მორიგებით გადაწყვეტის შესაძლებლობას, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა მ. მ. სკოლის დირექტორმა გაათავისუფლა სამსახურიდან.

6.2 მოწმის განცხადებით, ნ. გ. მივიდა ს. ა. ი. ა.-ს ოფისში, სადაც იმყოფებოდა ლ. ჭ.-სთან ერთად. ნ. გ.-მ ლ. ჭ.-ს გადასცა განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, რომლის ასლიც გადაიღო ლ. ჭ.-მ და დაუბრუნა უკან. მოწმის განცხადებით, ლ. ჭ.-ის მეშვეობით მან იცის, რომ ნ. გ. ითხოვდა ლ. ჭ.-ს სოციალური ქსელიდან წაეშალა ის „პოსტები“, რაც სკოლას და მას ეხებოდა. მოწმის განცხადებით, როგორც მისთვის ცნობილია ლ. ჭ.-ს კონკრეტულ პიროვნებებზე სტატუსები არ დაუწერია.

7. მოწმე ა. გ.-ის ახსნა-განმარტება:

მოწმე ა. გ. საპროცესო კოლეგიის მიერ გამოიკითხა ადვოკატ რ. ხ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის განცხადებით, ის იმყოფებოდა ადვოკატ რ. ხ.-სთან და ერთ სტაჟიორთან ერთად, როდესაც სამ ქალბატონთან ერთად ნ. შ.-ც მივიდა ოფისში. მოწმის განცხადებით, აღნიშნულმა ქალბატონმა (ვერ იხსენებს ვინაობას) რ. ხ.-ს განუცხადა, რომ მას საგამოძიებო უწყებასთან „ჰქონდა პრობლემები“ დოკუმენტის შესაძლო გაყალბების საქმეზე. მოწმის განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით ადვოკატ რ. ხ.-ს კონსულტაცია არ გაუწევია. ადვოკატმა მას განუმარტა, რომ იყო მოდავე მხარის ადვოკატი. აღნიშნულის შემდგომ, ნ. გ.-მ რ. ხ.-ს სთხოვა, რომ დაკავშირებოდა ლ. ჭ.-ს, რომელიც როგორც ის

განმარტავდა შეურაცხყოფილ პოსტებს წერდა სოციალურ ქსელში მასზე, რის თაობაზეც რ. ხ. დაუკავშირდა ლ. ჭ.-ს.

II სამოტივაციო ნაწილი

8. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

8.1 ადვოკატი რ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

8.2 სოფელი გ.-ის საჯარო სკოლამ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 27 ივლისს.

8.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

9. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

10. სამართლებრივი შეფასება:

10.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მის მიერ მიწოდებული დოკუმენტი - „გენერალური ინსპექციის“ დასკვნა ადვოკატმა რ. ხ.-მ მომჩივანის ნებართვის გარეშე გაუზიარა მოდავე მხარის წარმომადგენელს.

10.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ რ. ხ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).
>
> ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2(ბ)).

10.3 ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას ადვოკატის მოქმედ კლიენტსა და მის პოტენციურ კლიენტს შორის. ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელი ფაქტორია ადვოკატისათვის პოტენციური კლიენტისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება იმავე ან დაკავშირებულ საქმეზე, რომელზეც ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას მეორე მხარის სასარგებლოდ. “კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართ. ეს ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდება კლიენტის/პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კონფიდენციალობა არის ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანი, რომელიც ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებამდე

წარმოეშობა, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება" (იხ. ეთიკის კომისიის 2020 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება N 062/19, პარ 8.2-8.3).

10.4 „ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის დადგენა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს პოტენციური კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი" (2018 წლის 05 ნოემბრის ეთიკის კომისიის N 009/18 წერილობითი რეკომენდაცია).

10.5 ადვოკატ რ. ხ.-ს ნ. გ.-მ მიმართა, როგორც სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის წარმომადგენელმა იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით. შესაბამისად, შეთანხმების შემთხვევაში, ადვოკატ რ. ხ.-ს უნდა გაეწია სკოლისთვის, როგორც მისი კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურება. საჯარო სკოლისთვის სამართლებრივი დახმარება ეხებოდა იმ საქმეს, რომელზედაც ადვოკატი რ. ხ. მოდავე მხარეს უწევდა საადვოკატო მომსახურებას, როგორც ს. ა. ი. ა.-ს იურისტი, ამავე ორგანიზაციის იურისტთან - ლ. ჭ.-სთან ერთად (იხ. პარ.2.2, 3.2, 5, 6.1). მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს, სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის წარმომადგენლმა „გენერალური ინსპექციის დასკვნა", რომელზეც იყო მისი მიერ გაკეთებული წარწერები,

10.6 გაანდო თუ არა ის ადვოკატ რ. ხ.-ს, როგორც პოტენციურმა კლიენტმა. ადვოკატის მიერ კლიენტთან წინარე სახელშეკრულებო პერიოდში პოტენციური კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატმა ინფორმაცია მიიღო საჯარო სკოლის წარმომადგენლისგან, როგორც პოტენციური კლიენტისგან, მიღებული დოკუმენტაცია კონფიდენციალობის პრინციპით უნდა ყოფილიყო დაცული ადვოკატის მიერ, თუმცა არ დასტურდება ის გარემოება, რომ ნ. გ.-მ როგორც პოტენციური კლიენტის (სოფელი გ.-ის საჯარო სკოლის) წარმომადგენელმა გაანდო მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. ორივე მხარე ადასტურებს, რომ შეხვედრისას მათ შორის შეთანხმება სამომავლოდ საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე არ ყოფილა და ამასთან, მხარეთა შორის სადავოა დოკუმენტის ადვოკატის მიერ მიღების ფაქტიც და შემდგომ მისი მოდავე მხარის წარმომადგენლისთვის გადაცემა. ადვოკატი რ. ხ. არ ადასტურებს გენერალური ინსპექციის დასკვნის ნ. გ.-ისგან მიღების ფაქტს და განმარტავს, რომ მისგან ნ. გ. ინფორმირებული იყო, რომ თავადაც ლ. ჭ.-სთან ერთად საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. გ.-ის მოდავე მხარეს იმავე საქმესთან დაკავშირებით და შესაბამისად, სამომავლოდ, ის ვერ გაუწევდა იურიდიულ მომსახურებას, რასაც ადასტურებენ მხარეთა შორის საუბრის დამსწრე პირები. (იხ.პარ.4, 7). მოწმე ლ. ჭ. განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა მან არა რ. ხ.-სგან, არამედ, უშუალოდ ნ. გ.-ისგან მიიღო (პარ. 3.3), რასაც ადასტურებს მოწმე ც. ბ. (პარ. 6.2). შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანის მხრიდან, გარდა მისი განმარტებისა საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რაც კოლეგიას მისცემდა შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაედგინა, რომ სოფელი გ.-ის საჯარო სკოლისგან (მისი წარმომადგენლისგან), როგორც პოტენციური კლიენტისგან ადვოკატმა მიიღო საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა - მინაწერებით, როგორც ამას მომჩივანი უთითებს და შემდგომ, ის გაანდო სკოლის მოდავე მხარის

ადვოკატს - ლ. ჭ.-ს. ამასთან, არ დასტურდება ის გარემოება, რომ სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატი მას სამომავლოდ გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას.

10.7 მომჩივანის პოზიციაზე, რაც ეხება ადვოკატ რ. ხ.-ს მიერ საჩივარში მითითებული სადავო დოკუმენტის ფოტომასალის შენახვის და შემდგომ მის ლ. ჭ.-ისთვის გადაცემის გამოკვლევის მიზნით პარ. 1.6-ში მითითებული მოქმედებების ჩატარებას, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული სადავო ფაქტების გამოკვლევის კომპეტენცია და უფლებამოსილება კომისიას არ აქვს. როგორც მომჩივანი უთითებს აღნიშნული ფაქტების გამოძიების მიზნით, მან მიმართა უფლებამოსილ ორგანოს - პროკურატურას.

10.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე № 064/21 ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/